ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება № 02-02/95

ქ. თბილისი 15. 05. 2013

ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სკოლის (ფაკულტეტის) სტუდენტ მიშიკო გელენავას ნიდერლანდებში მივლინების შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-6 მუხლის, ამავე უნივერსიტეტის დებულების მე-10.4 პუნქტის, ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 22 აპრილის დადგენილების (ოქმი №28), ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სკოლის (ფაკულტეტის) დეკანის პროფ. ი. წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და უტრეხტის უნივერსიტეტის მოწვევის (№1/779, 15.05. 2013) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მივლინებულ იქნეს 2013 წლის 20 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე ნიდერლანდების ქალაქ უტრეხტის უნივერსიტეტში თეორიულ ფიზიკაში საზაფხულო სკოლის მუშაობში მონაწილეობის მისაღებად ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სკოლის (ფაკულტეტის) ფიზიკის მიმართულების ბაკალავრიატის VI სემესტრის სტუდენტი *მიშიკო გელენავა;*
2. მ. გელენავას სამივლინებო ხარჯებისათვის გამოეყოს 3500 (სამიათას ხუთასი) ლარის ოდენობით;
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაძე დაევალოს უნივერსიტეტის ბუღალტერიას (ქ-ნი ნ. სხულუხია);
4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სკოლის (ფაკულტეტის)

დეკანატს, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე